ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ49. 4926303001**

თარიღი:**30/10/2026**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში

სპეციალისტის დავითი აბვლედიანის მოწვევის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ’’ ქვეპუნქტის, 35-ე მუხლის პირველი ნაწილის „ თ“ პუნქტის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №28 დადგენილების და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის #49.492536011 განკარგულების შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **დავითი აბვლედიანი** - მოწვეული იქნეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში შრომითი ხელშეკრულებით პოზიციაზე - სპეციალისტად, 2 თვის ვადით, 2026 წლის 2 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. შრომით ხელშეკრულებით პოზიციაზე მყოფი პირის ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვროს ხელშეკრულებით /თან ერთვის/.

3. შრომითი გასამრჯელო განისაზღვროს 1820 ლარის ოდენობით (გადასახდელების ჩათვლით).

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, ქ.წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27, ტელ: (0436) 22-50-03, ელ-ფოსტა:
TSKALTUBO.SAKREBULO@GMAIL.COM